ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 13 სექტემბრის სხდომის

ოქმი #7

2021 წლის 13 სექტემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 26.
კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. ცვლილებები მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად აკრედიტაციის პროცესით იყო განპირობებული (იხ. დანართები 1.1). ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს ჯერ გააცნო გარდამავალი დებულება ძველი პროგრამით ჩაბარებული სტუდენტებისათვის, ხოლო შემდეგ კი ცვლილებები უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამებში. წარმოდგენილი ცვლილებები შეეხო 2020-2021 წელს აკრედიტებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამას.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, დ.ძიძიგურმა, ო.ფურთუხიამ, რ.ხომერიკმა, მ.ხაჩიძემ, თ.თადუმაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პროგრამული ცვლილებებისა და გარდამავალი დებულების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: პროგრამული ცვლილებები და გარდამავალი დებულება დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს პროგრამული ცვლილებები წარმოდგენილ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში (იხ. დანართები 1.1) .

გარდა ამისა, დამტკიცდეს გარდამავალი დებულება:

- საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის ახალი რედაქციით (აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილება) დამტკიცებამდე ჩარიცხულ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცეთ დაასრულონ საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამა ამ დადგენილების მიღებამდე არსებული რედაქციით. აღნიშნული ძალაშია 1-დან 3 წლამდე ვადით პროგრამებისდა მიხედვით (იხ. დანართი 1.2).
- საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში საშუალება მიეცეთ პროგრამა გაიარონ ახალი რედაქციით.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი - ცვლილებები მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს წარუდგინა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი.

აზრი გამოთქვეს: მისაღები კონტინგენტის რაოდენობის დაზუსტებაში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა - პროგრამების ხელმძღვანელებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარი მისაღები კონტინგენტის დაზუსტებული რაოდენობებით (იხ. დანართი 2).

3. დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხებში წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები:

ა) დოქტორანტების გადასახადის შესახებ;

ბ) დოქტორანტების გასაუბრების კომისიების დამტკიცება (სამ პროგრამაზე, რადგან მათ არა აქვთ მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიები);

გ) ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ რუსუდან ჩალაძის თემის სათაურის ცვლილება.

ა) მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ ყველა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის სწავლის სემესტრული საფასურის დადგენის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის სწავლის სემესტრული საფასურის დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ ყველა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სემესტრული საფასური საქართველოს მოქალაქეებისთვის დარჩეს უცვლელი, კერძოდ, ძირითად სემესტრებში - სემესტრული 150 ლარი, ხოლო დამატებით სემესტრებში - სემესტრული 300 ლარი.

ბ) მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დოქტორანტების გასაუბრების კომისიების შემადგენლობები ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, გამოყენებითი ეკოლოგიის და პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგიის პროგრამებზე (ამ მიმართულებით არ არსებობენ მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიები) (იხ. დანართი 3).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ე.ნადარაიამ, ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა, ბ.თუთბერიძემ, ო.ფურთუხიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტების გასაუბრების კომისიების შემადგენლობები ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, გამოყენებითი ეკოლოგიის და პალეონტოლოგია-პალეოანთროპოლოგიის პროგრამებზე (იხ. დანართი 3).

გ) მოისმინეს: ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ გამოიტანა საკითხი ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ რუსუდან ჩალაძის სადისერტაციო თემის სათაურის „წყალი-ზეთში მიკროემულსიების შედგენილობის გავლენა ბიოსამედიცინო მნიშვნელობის მქონე ნივთიერებათა ქრომატოგრაფიულ ქცევაზე“ შეცვლის შესახებ (ხელმძღვანელი ასოც.პროფ. მარინა რუხაძე).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა.უგულავამ, გ.სირბილაძემ, ო.ფურთუხიამ, ო.მუკბანიანმა, ბ.თუთბერიძემ, დ.ძიძიგურმა. მათი მოთხოვნითა და დოქტორანტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით თემის სათაური ჩამოყალიბდა უფრო ლაკონური ფორმით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ქიმიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ რუსუდან ჩალაძის სადისერტაციო თემის სათაური „წყალი-ზეთში მიკროემულსიების შედგენილობის გავლენა ბიოსამედიცინო მნიშვნელობის მქონე ნივთიერებათა ქრომატოგრაფიულ ქცევაზე“ შეიცვალოს ახალი სათაურით: „თვითაგრეგირებადი სისტემების გამოყენება თხევად ქრომატოგრაფიულ და წამლების მიკროემულსიებიდან გამოთავისუფლების პროცესებში“ (ხელმძღვანელი ასოც.პროფ. მარინა რუხაძე).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი